საახალწლო მოლოცვა კალკუტიდან

„ლელოს“ საახალწლო ფოსტაში შემოვიდა ბარათი შორეული კალკუტიდან. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ინდოეთში, ქვეყნის ღია ჩემპიონატში მონაწილეობდნენ საბჭოთა ჩოგბურთელებიც, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს სპორტსმენები ა. მეტრეველი და თ. კაკულია. მათ ახლდა მწვრთნელი ვ. სერებრიანიკოვი.

მოლოცვის ბარათიც სწორედ მათ ეკუთვნით.

„ჩვენ, ქართველი ჩოგბურთელები, რომლებიც ამჟამად საქართველოდან შორს ვიმყოფებით, გთხოვთ ჩვენი „ლელოს“ საშუალებით ახალი წელი მივულოცოთ რესპუბლიკის სპორტის მესვეურებს, ყველა ქართველ სპორტსმენს და მათს უამრავ გულშემატკივარს.

ყველას ვუსურვებთ ბედნიერ ახალ წელს პირად ცხოვრებაში, შრომაში, სწავლასა და სპორტში დედასამშობლოს საკეთილდღეოდ“.

ვ. სერებრიანიკოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.
ა. მეტრეველი,
საერთაშორისო სპორტის ოსტატი.
თ. კაკულია,
სპორტის ოსტატი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის კვირაში 2-ჯ ფურცელი.

№ 4 (2981) ● ხუთშაბათი, 6 იანვარი, 1966 წ. ● ფასი 3 კაპ.

ჯ. აბაიშვილი.

ჯ. ცერცვაძე.

ი. ფხაკაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 თბილისელი უძლიერესთა შორის

მოსკოვი, 5 იანვარი (**ტელეფონით, ჩვენი კორ.**). სსრ კავშირის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის 21 უძლიერესი ხელბურთელის სია, რომელშიც 3 თბილისელი მოხვდა: აბაიშვილი, ცერცვაძე და ფხაკაძე. მათ გარდა საუკეთესოთა რიგებში შევიდნენ ცაპენკო, ზელენოვი, რეზნიკოვი (სამივენი — ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“), სეგალი, პეჩენინი, გასიევი, ჟურავლიოვი, კლიმოვი, რუსაკოვი (ყველანი — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი), ზდორენკო (კიევის სკა), ოლეინიკოვი (ტაშკენტის „ბურევესტნიკი“), კოლოდკა (ქ. ტირასპოლი), ველდრე (რიგა), ლებედევი, შევჩენკო, მაზური (სამივენი — მოსკოვის „ტრუდი“), უსენკო (გსვგ), მაცაკინსკასი (კაუნასის „პოლიტექნიკი“).

ხელბურთი

ᲒᲔᲓᲘᲒᲔᲓ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ

სსრ კავშირის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე 1965 წლის სეზონის მიხედვით დაამტკიცა 10 საუკეთესო არბიტრის სია. მოგვყავს საუკეთესოთა სია (ანბანით): ახუნდოვი (ბაქო), გელმანი (კიევი), კლეინერი (ბაქო), კოვალიოვი (მოსკოვი), ლიპოვი (ლვოვი), ნოვიკოვი (მოსკოვის ოლქი), სმოლენგა (მოსკოვი), სუსლოვი (მოსკოვი), ჩიოჩისი (ვილნიუსი), ჩხარტიშვილი (თბილისი).

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი თ. ჩხარტიშვილი 1964 წლის სეზონის შედეგების მიხედვითაც იყო საუკეთესოთა ათეულში. იგი წარდგენილია საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდებაზე.

ჩვენი ქვეყნის მოცურავეებს წლეულს ბევრი დიდი შეჯიბრება ელით. საკავშირო მასშტაბის ასპარეზობათა გარდა მათ მოუწევთ მონაწილეობა საერთაშორისო მატჩებში იუგოსლავიის, ჰოლანდიის, გდრ-ის, გფრ-ის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებთან, რის მერე ძალებს ცდიან კონტინენტის მორიგ პირველობაში.

ასპარეზობებში წარმატებით გამოსვლისთვის სამზადისი დიდი ხანია დაიწყო სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, თბილისელმა სპორტის ოსტატმა ა. ტუტაკაევმა, რომელიც წვრთნაში ტექნიკის სრულყოფასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობს საერთო ფიზიკურ მომზადებასაც.

• • •

სურათზე: ა. ტუტაკაევი მორიგი ვარჯიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

დაწინაურდა ბ. სპასკი

ლონდონი, 5 იანვარი. ჰასტინგსის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაიმართა VI ტური. საბჭოთა დიდოსტატმა ბ. სპასკიმ მოუგო ჰ. პფლეგერს (გფრ) და 5 ქულით გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი გახდა, ვინაიდან ლიდერებმა — ს. გლიგორიჩმა (იუგოსლავია) და ე. ვასიუკოვმა (სსრ კავშირი) ამ დღეს დამარცხების სიმწარე იგემეს: პირველმა წააგო ვ. ულმანთან (გდრ), ხოლო მეორემ — ფ. გეორგიუსთან (რუმინეთი). ახლა გლიგორიჩსა და ულმანს 4,5-4,5 ქულა აქვთ, ხოლო ვასიუკოვსა და პფლეგერს — 4-4.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ

დამთავრდა ოსტატ ფეხბურთელთა ზამთრის არდადეგები. იწყება ინტენსიური მზადება მომავალი შეჯიბრებებისთვის.

1966 წლის ყველაზე დიდ და საპასუხისმგებლო ასპარეზობას წარმოადგენს ჟიულ რიმეს თასის VIII გათამაშება, რომლის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმაც.

საბჭოთა კავშირის ნაკრები განაგრძობს მზადებას მსოფლიო პირველობისთვის. გუნდში, რომელიც ამ დღეებში დაიწყებს ვარჯიშს, მიწვეული არიან ქართველი ფეხბურთელები ს. მეტრეველი, ვ. მესხი, მ. ხურცილავა, გ. სიჭინავა და ს. კუტივაძე.



ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ...

საბჭოთა ოლიმპიელების ბაზა

მოსკოვი, 5 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). სპორტის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ XIX ოლიმპიური თამაშების მასპინძელია მექსიკის დედაქალაქი მეხიკო-სიტი, რომელიც ზღვის დონიდან 2.300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

სწორედ ოლიმპიადის ცენტრის ეს „კოსმოსური“ სიმაღლე წარმოადგენს საერთაშორისო სპორტის მთავარ საზრუნავს. სპორტსმენთა აკლიმატიზაციის საკითხი საკვანძო პრობლემად იქცა და ყველა ქვეყანაში ეძებენ გზებს მისი წარმატებით გადაჭრისათვის.

მომავალ ოლიმპიელთა მზადების საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ქვეყანაშიც. სპორტსმენთა რაციონალური წვრთნისა და ვარჯიშისთვის გადაწყდა განთქმულ კურორტ კისლოვოდსკთან აიგოს დიდი ოლიმპიური ბაზა ზღვის დონიდან 1250 მეტრის სიმაღლეზე. აქ იქნება ყველაფერი. რაც საჭიროა სპორტსმენთა წვრთნისთვის. სასტუმროდან ბაზებამდე სპორტსმენებს გადაიყვანენ საბაგირო გზით.

ოქროს ქალღმერთი ლონდონს „ჩაფრინდა“

ლონდონი, 5 იანვარი. **როგორც ცნობილია, ხვალ აქ გაიმართება მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალისტთა კენჭისყრა. დიდი ინტერესი გამოიწვია ბრაზილიის დელეგაციის ჩამოსვლამ, რომელმაც ჩამოიტანა ოქროს ქალღმერთის კანდაკება — ჟიულ რიმეს თასი.** (საკ. ინფ).

ᲒᲣᲨᲘᲜ...

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ფოთში დაიწყო საშუალო ასაკის — 1950-1951 წლებში დაბადებულ მოსწავლე კალათბურთელთა საკავშირო ზონალური პირველობა. ტურნირში მონაწილეობენ რსფსრ-ს, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის გოგონთა და ჭაბუკთა გუნდები. პირველი დღის მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცა: **გოგონები** — უკრაინა — სომხეთი 33:23, აზერბაიჯანი — რსფსრ 34:23, საქართველო — მოლდავეთი 38:20, **ჭაბუკები** — უკრაინა — სომხეთი 46:44, აზერბაიჯანი — რსფსრ 34:33, საქართველო — მოლდავეთი 47:45. ეს ბოლო მატჩი ყველაზე საინტერესო გამოდგა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს ნაკრების წევრმა ფიცხალაურმა, რომელმაც თავის გუნდს მოუტანა 28 ქულა.

ა. ლომაია.

3.349 ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდამ“ გამოაქვეყნა თავისი საახალწლო სპორტული ანკეტის შედეგები. იგი შედგებოდა 5 კითხვისგან:

1. ვინ არის ღირსი ატარის „გასული წლის საუკეთესო რეკორდსმენის“ სახელი?, 2. დაასახელეთ სპორტული წლის 3 ყველაზე დიდი ხენსაცი, 3. რომელმა სპორტსმენმა გამოავლინა გამარჯვებისადმი მაქსიმალური სწრაფვა და სატურნირო გამოცდებში რომელი გუნდი იყო უფრო ვაქკაცური?, 4. ახალგაზრდა სპორტსმენთაგან ვინ უფრო გამოიჩინა თავი 1965 წელს?, 5. სცადეთ გამოიცნოთ 1966 წელს ვინ გაუმჯობესებს მსოფლიო რეკორდებს ძმიმე წონის ძალოსნებში (სამჯიდი), 80 მეტრზე თარჯრბენში, ბადროს ტყორცნაში (ქალები), 500 მ ციგურაობაში (ვაუები).

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 3.349 მკითხველმა.

პირველ კითხვაზე ყველაზე მეტი ხმა ერგო ი. პრესს.

მეორე კითხვაზე უმრავლესობამ ასეთი პასუხი გასცა: სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ფრე მსოფლიო ჩემპიონებთან, ო. ფხაკაძის გამარჯვება სან-სებასტიანში და ჩვენი ძალოსნების მარცხი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში.

ყველაზე მტკიცე სპორტსმენად აღიარებულ იქნა დიდოსტატი ბ. სპასკი, ყველაზე დიდი ნებისყოფის მქონე გუნდად — მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი.

მეოთხე კითხვაზე ყველაზე მეტი ხმა დააგროვა ტანმოვარჯიშე ნ. კუჩინსკაიამ.

კონკურსის მონაწილეებს ძალიან გაუძნელდათ ბოლო კითხვაზე პასუხის გაცემა. უმრავლესობის აზრით, გაიმარჯვებს ლ. ყაბოტინსკი, რომლის შედეგი სამჯიდში იქნება 600 კგ., 80 მეტრზე თარჯრბენსა და ბადროს ტყორცნაში ახალი რეკორდები უწინასწარმეტყველეს ი. და თ. პრესებს. რაც შეეხება 500 მეტრზე ციგურაობაში ე. გრიშინის მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას, კონკურსის მონაწილეთა თავს იკავებენ და დასძენენ, რომ რეკორდი არ შეიცვლება; სარეკორდო შედეგს მიუახლოვდებიან თვით ე. გრიშინი, ვ. ორლოვი და ბ. გულიაევი.

ტყვიით მსროლელთა „რესპუბლიკურ ოჯახს“ შარშან შეემატა რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენი. იმედია, რომ სისტემატური, გეგმიანი ვარჯიშით ისინი კიდევ უფრო სრულყოფენ ტექნიკას და მტკიცედ დამკვიდრდებიან საქართველოს ნაკრებში. ერთი მათგანია მ. უამურაშვილი (მწვრთნელი შ. გუჯარელიძე). ეს ჭაბუკი უკრაინელებთან ამას წინათ გამართულ მატჩში მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში გამოდიოდა. ჭაბუკმა გამოცდა ფრიადზე ჩააბარა: მან 575 ქულა მოაგროვა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა.

• • •

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): სპორტის ოსტატი კ. ფოტიევი, საქართველოს გუნდის მწვრთნელი ი. ხუციშვილი და მ. უამურაშვილი მორიგი წვრთნის შემდეგ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

„ᲩᲐᲛᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ...“

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

● **შეკითხვა:** მოსწავლეს, რომელიც ფიზადზრდის გაკვეთილზე პრაქტიკული მეცადინეობის დროს არასპორტულ ტანსაცმელში ცხადდება, გაკვეთილზე არ ვუშვებ და ჟურნალში ვუწერ „არას“ (მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ავადმყოფობის ცნობა). სწორია თუ არა ჩემი მეთოდი და თუ უსწოროა, რა ხერხს მივმართო მოსწავლის დაუსწრებლობის აღრიცხვისთვის?

ნ. კვიქინაძე,

ხალიბაურის საშუალო სკოლის ფიზალზრდის მასწავლებელი.

● **პასუხი:** მოსწავლე, რომელიც პრაქტიკულ მეცადინეობაზე არასპორტულ ტანსაცმელში გამოცხადდება, სავარჯიშოდ არ დაიშვება და ჟურნალში ეწერება გაცდენა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ფიზალზრდის გაკვეთილებიდან ბავშვი ექიმის მიერ ხანგრძლივადაა განთავისუფლებული და სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანებაც არსებობს, ჟურნალში „არას“ ნაცვლად ეწერება „განთავისუფლებულია“. იმ შემთხვევაში კი, როცა ბავშვი ექიმის მიერ მხოლოდ იმ დღის გაკვეთილიდანაა განთავისუფლებული, მას უფლება აქვს დაესწროს პრაქტიკულ მეცადინეობას, როგორც მეთვალყურე.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ ᲐᲒᲐᲠᲔᲑᲡ

ამას წინათ თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურულ კოლექტივში გაიმართა ანგარიშგება-არჩევნები. ჩატარებული მუშაობის შესახებ შეკრებილთ მოუთხრო ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ ა. ჯალაღანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მკერავებმა გადაჭარბებით შეასრულეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები, „განთიადის“ წევრთა რაოდენობა გაიზარდა 350 კაცამდე. საანგარიშო პერიოდში მომზადდა სხვადასხვა თანრიგის 54 სპორტსმენი, 108 ნიშნოსანი და 42 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი. კარგი მაჩვენებლებისთვის კოლექტივი დაჯილდოდა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს სიგელით.

კამათში მონაწილეებმა შ. ჩაფიჩაძემ, გ. ჭითანავამ, ჯ. ელენტმა, შ. დავარაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს საბჭოს საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზებზე, ბაზებისა და ინვენტარის ნაკლებობაზე.

კონფერენციამ მუშაობის შემდგომი ამაღლების მიზნით მიიღო სათანადო დადგენილება და აირჩია საბჭოს ახალი შემადგენლობა. თავმჯდომარედ არჩეულია ფაბრიკის დირექტორი მ. ავალიანი.

ჯ. მორგოშია.

ᲡᲘᲛᲦᲘᲕᲐᲡ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ...

ვისაც ავტომანქანით სურამის უღელტეხილი გადაულახავს, მას უთუოდ ემახსოვრება სოფელი შრომა. პირველი, რაც აქ თვალში მოგხვდებათ, ეს არის თიხის ათასნაირი მურჭელი — დოქები, ქვევრები, კეცები... მაგრამ ეს ადგილი საქვეყნოდაა ცნობილი შესანიშნავი ხარისხის მარმარილოთი და ცეცხლგამძლე აგურის ნედლეულით. იქ, სადაც მაღაროებისაკენ მიმავალი გზა იწყება, საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობაა წამოჭიმული.

—სკოლა ახლომდებარე 10 სოფლის ახალგაზრდების აღზრდას ემსახურება, — გვითხრა დირექტორმა ქ. გუგუციძემ. იგი გატაცებით გვესაუბრა ნორჩ ფიზკულტურელთა ძიღწევებზეც, მერე კი, როცა ზარი ღაირეკა, ფიზალზრდის მასწავლებელი ა. გველესიანი მოიხმო.

და აი, მასთან ერთად დავათვალიერეთ სპორტული ბაზები. ისინი ერთობ პრიმიტიულად და უხეიროდ გამოიყურებიან.

— რა ვქნათ. მეტი საშუალება არა გვაქვს, — ამბობს პედაგოგი. — მიუხედავად ამისა, მოსწავლენი დიდი გატაცებით მეცადინეობენ სპორტში.

ფიზკულტურულ ღონისძიებათა კალენდარი, შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებისა და ფიზკულტურის საბჭოს სხდომების რქმები, თანრიგოსანთა და ნაკრები გუნდების სიები თავისთავად მეტყველებენ ფიზკულტურელთა ენთუზიაზმზე.

ყველაზე მასობრივი ღონისძიება იყო მძლეოსნური კროსი, რომელიც „ოქროს შემოდგომის“ დევიზით ჩატარდა. შრომა — უბისის გადასარბენზე ასობით მოსწავლე გამოვიდა, უძლიერესებმა კი რაიონულ პირველობაში სცადეს ძალები. ჩატარებულ ღონისძიებათა შორის ყურადღება მიიქცია ტურისტულმა ლაშქრობებმა. ტურიზმი აქ ერთ-ერთ საყვარელ სახეობადაა ქცეული და მოსწავლეთა უმრავლესობაც სწორედ მასშია გაერთიანებული.

სასკოლო პირველობებს წინ ყოველთვის დიდი სამზადისი უსწრებს. მას ეძღვნება სპორტული კედლის გაზეთები და საგაზეთაციო პლაკატები. ალბათ ამიტომაც აქ თითქმის ყველა მოსწავლემ იცის, რომელი კლასი რომელ სახეობაშია ჩემპიონი და ვინ არიან ნაკრები გუნდების წევრები. შრომელები ხშირად მართავენ ამხანაგურ შეხვედრებს ძირულისა და სხვა სოფლების მოსწავლეებთან.

ერთი საინტერესო დეტალი: სკოლის საზოგადოებრივ კადრებს თავიანთ სოფლებში სპორტის მოყვარულთა დახმარება ევალებათ. შეფების საერთო ხელმძღვანელობა ა. გველესიანს აქვს დაკისრებული.

აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი გხებავთ? აი, ბიოლოგიის მასწავლებელი გ. ბუხნიკაშვილი. წარსულში იგი თავად გახლდათ სპორტსმენი და ახლა ახალგაზრდებს გადასცემს ცოდნას. სპორტის დიდ ქომაგად ასახელებენ შრომის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ე. გველესიანს. მართლაც, იგი სიქმით ამტკიცებს ფიზიკური კულტურისადმი სიყვარულს.

თავმჯდომარე სინანულს გამოთქვამდა, რომ ვარემოს რელიეფი ხეირიანი მოედნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ე. გველესიანმა მდინარე ძირულის პირას მოვაკებული ადგილი გვაჩვენა და გვითხრა, გაზაფხულზე აქ კომპლექსურ მოედანს გავაკეთებთო. სპორტული ინვენტარისა და ფორმის შეძენასაც აპირებენ.

— შრომელი კოლმეურნე ახალგაზრდები სპორტშიც ისახელებენ თავს, — დაბეჯითებით თქვა ე. გველესიანმა.

გვჯერა, რომ ამ სოფლების თავკაცი სიტყვას შეასრულებს.

თ. გაჩიჩილაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ზესტაფონის რაიონი.

ᲡᲐᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲝ ᲜᲝᲠᲛᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘ

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის საბიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში რესპუბლიკის ნაკრების პერსპექტიული სპორტსმენებით დაკომპლექტების მიზნით საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა დაწესა ნორმატივები, რომელთა შესრულება იძლევა „ორდერს“ ნაკრებში. ნორმატივები ასეთია:

ᲕᲐᲟᲗᲐᲗᲕᲘᲡ: **ერთადგილიანი ბაიდარა** — 500 მ — 2.00,0, 1000 მ — 4.10,0, 10.000 მ — 48.00,0; **ორადგილიანი ბაიდარა** — 500 მ — 1.48,0, 1000 მ — 3.43,0, 10.000 მ — 43.30,0; **ოთხადგილიანი ბაიდარა** — 10.000 მ — 37.35,0. **ერთადგილიანი კანოე** — 1000 მ — 4.55,0, 10.000 მ — 54.00,0; **ორადგილიანი კანოე** — 1000 მ — 4.12,0, 10.000 მ — 48.00,0.

ᲥᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ: **ერთადგილიანი ბაიდარა** — 500 მ — 2.14,0; **ორადგილიანი ბაიდარა** — 500 მ — 1.59,0; **ოთხადგილიანი ბაიდარა** — 500 მ — 1.46,0.

ნაკრებში ჩაირიცხებიან სპორტსმენები, რომლებიც ამ მოთხოვნებს წლეულს შეასრულებენ.

რაკეტნიკი ეკრანიზე

✦ ᲮᲐᲨᲣᲠᲘ

დამთავრდა მოსწავლე ჭაბუკ კალათბურთელთა საქალაქო პირველობა. შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობდა 8 კოლექტივი, I ადგილზე გავიდა რკინიგზის მე-3 საშუალო სკოლის გუნდი. მომდევნო ადგილები დაიპყრეს ქალაქის მე-3 და მე-2 სკოლების კალათბურთელებმა.

ზ. მოსეშვილი.

ᲨᲔᲯᲘᲯᲮᲕᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ...

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲐ დამთავრდა „განთიადის“ საქალაქო საბჭოს პირველობა ქალათბურთში. ჩემპიონის წოდება მოიპოვეს მარგანტრესტის ავტოსატრანსპორტო კანტორის წარმომადგენლებმა. II ადგილი წილად ხვდა ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს გუნდს, ხოლო III — მთავარი მექანიკური სახელოსნოს კოლექტივს.

მ. ლაგაძე.

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა რაიონულ პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილეობა მიიღეს „განთიადის“, „კოლმეურნისა“ და ახალგაზრდობის სპორტსკოლის ნაკრებმა გუნდებმა. ტურნირში სულ 35 მოჭიდავე გამოდიოდა. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. სპორტსკოლა, 2. „განთიადი“, 3. „კოლმეურნე“. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ვ. სამხარაძემ, შ. ქავთარაძემ (ორივენი — სპორტსკოლა), ს. ლოლაძემ („განთიადი“). გ. ჩხიკვაძემ, პ. ებანოიძემ (ორივენი — სპორტსკოლა), ი. აბესალაშვილმა, თ. ორჯონიკიძემ (ორივენი — „კოლმეურნე“), ზ. მაგრაქველიძემ („განთიადი“).

ა. ბანუგრავა.

ᲦᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ დამთავრდა ფეხბურთელთა შეჯიბრება რაიონულ გაზეთ „კომუნისტური შრომის“ გარდამავალ თასზე, რომელშიც ფიზკულტურის 11 კოლექტივის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლაშისღელისა და ქვიანის კოლმეურნე ფეხბურთელები. გაიმარჯვეს ლაშისღელელებმა.

ი. ებრალიძე.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტა“ (მოსკოვი) რუსულ ენაზე გამოუშვა წიგნები:

ლ. მატვეევი. **სპორტული წვრთნის პერიოდიზაციის პრობლემა.** მეორე გამოცემა. 244 გვ. 9.000 ცალი. 78 კაპ.

ვ. მასლოვი. **ცურვის დაწყებითი სწავლება.** სასწავლო სახელმძღვანელო ინსტრუქტორთათვის. 184 გვ. 47.000 ცალი. 35 კაპ.

სპორტსმენთა ძალისმიერი შომზადების საკითხები საექიმო გამოკვლევათა მონაცემების მიხედვით. საკვლევიერო შრომების კრებული. შემდგენელი **ს. ლეტუნოვი.** 196 გვ. 5.500 ცალი. 72 კაპ.

ᲥᲮᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲨᲘ

ᲙᲘᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

Ა. ᲓᲛᲘᲢᲠᲘᲔᲕᲐ — ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲔᲑᲨᲘ

„ᲝᲥᲠᲝᲡ ᲮᲔᲚᲗᲐᲗᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ

● **კიევი, 4 იანვარი.** ადგილობრივი „ლოკომოტივის“ ფრენბურთელებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს იუგოსლავიის ჩემპიონატის „ვერცხლის“ პრიზიორებთან — „ჟელეზნიჩარის“ სპორტსმენებთან. გაიმარჯვეს საბჭოთა ფრენბურთელებმა — 3:1.

● **პრაღა, 4 იანვარი.** გაზეთ „ჩესკოსლოვენსკი სპორტის“ საერთაშორისო ანკეტაში, **რომელშიც ევროპის 10 ქვეყნის სპორტული ჟურნალისტები მონაწილეობდნენ, კონტინენტის 1965 წლის საუკეთესო ჩოგბურთელებად აღიარეს ინგლისელი კრისტინა ტრუმენი და ესპანელი მანუელ სანტანა.** ქალთა შორის V-VI ადგილებს დასავლეთგერმანელ ჩოგბურთელ ჰ. შულტცთან ერთად იყოფს საბჭოთა სპორტსმენი, მოსკოველი ა. დმიტრიევა.

კ. ტრუმენი. მ. სანტანა.

● **ვარშავა, 4 იანვარი.** **პირველ ქვესაშუალო წონაში ოლიმპიური ჩემპიონი და ევროპის პირველობაში გამარჯვებული, პოლონელი მოკრივე ე. კულეი ქვეყნის საუკეთესო მოკრივედ აღიარეს შარშანდელი სეზონის მიხედვით.** მას გადაეცა გაზეთ „პშეგლონდ სპორტოვის“ „ოქროს ხელთათმანები“.

* * *

სურათზე: ე. კულეი.

● **კალკუტა. 4 იანვარი.** აქ დამთავრდა ინდოეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ვაჟთა ფინალი მოულოდნელობით აღინიშნა: აზიის საუკეთესო მოთამაშე, ინდოეთის უცვლელი ჩემპიონი რ. კრიშნანი დამარცხდა ჯ. მუკერჯისთან. ა. მეტრეველმა ნახევარფინალში წააგო კრიშნანთან — 2.6, 4.6, 6.8. ვაჟთა წყვილების ფინალში კრიშნანმა და ნ. კუმარმა მოუგეს იაპონელებს — ო. ისიგუროსა და კ. ვატანაბეს.

ᲥᲮᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲨᲘ

ეს პაჭარა საქმე როდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

II ექიმ-ფსიქოლოგის საჭიროების შესახებ ფეხბურთის გუნდში

საბჭოთა სპორტულ მედიცინაში ასეთი დარგი არ არსებობს, ამიტომ კონკრეტული საუბარი ექიმი-ფსიქოლოგის საჭიროებასა და დანიშნულებაზე პრესაში არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფეხბურთელთა გუნდში ექიმი-ფსიქოლოგი საჭიროა. ეს განსაკუთრებით ითქმის თბილისის დინამოელთა გუნდზე, ვინაიდან აქ თამაშობენ სამხრეთელები (ტემპერამენტი!).

ტემპერამენტიანი ადამიანის შინაგანი განწყობა (დადებითი თუ უარყოფითი) თვალსაჩინო გავლენას ახდენს კოლექტივზე, მით უმეტეს, თუ იგი მაღალი კლასის ფეხბურთელია და დიდი ავტორიტეტი აქვს. მცნება „ტემპერამენტული“ ისეთ სახიათებს მოიცავს, რომლებიც უფრო „დაუმორჩილებელი“ არიან, ვიდრე უტემპერამენტო სახიათები. ამიტომ უკანასკნელ შემთხვევაში კოლექტივის შექმნა უფრო იოლია და ასეთი გუნდი გაცილებით თანშიმდევრულია მიზნის მიღწევაში.

აქედან გამომდინარე, ფეხბურთელთა გუნდში ექიმი-ფსიქოლოგის ძირითად მოვალეობად უნდა განისაზღვროს კოლექტივის შექმნა. თუ ეს ასეა, ზემოაღნიშნულ კოლექტივში ექიმი-ფსიქოლოგის საჭიროების თაობაზე უმალ წამოიჭრება საწინააღმდეგო მოსაზრება. იტყვიან: რაღას აკეთებენ მწვრთნელი, გუნდის უფროსი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები? განა ისინი კოლექტივის შექმნისთვის არ არიან მოწოდებული?

დიახ, ეს ასეცაა, მაგრამ ექიმი-ფსიქოლოგის როლი სულ სხვა კუთხით წარმოგვიდგება. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ექიმი-ფსიქოლოგის მოვალეობა გუნდში? იგი უნდა აწარმოებდეს კოლექტივის თვითეული წევრის შესწავლას როგორც გუნდის საერთო მზადების პერიოდში, ისე სეზონის განმავლობაში და თვითეული მატჩის წინ.

საერთო მზადების პერიოდში ექიმმა-ფსიქოლოგმა უნდა შეისწავლოს დაახლოებით ასეთი გარემოებანი:

1) გუნდის თვითეული წევრის დამოკიდებულება ფეხბურთთან;

2) უნდა გაირკვეს, თუ როგორ აღიქვამენ მოთამაშეები შემდეგ საკითხებს: ფეხბურთი და პატრიოტიზმი, ფეხბურთი და ესთეტიკა; კოლექტიური თამაში; ფეხბურთი და გულშემატკივარი; ფეხბურთელი თვითონ, როგორც გულშემატკივარი; კოლექტივი და ინდივიდუალური თამაში; მეგობრობა და ამხანაგობა; პროფესიული ურთიერთპატივისცემა.

სეზონის განმავლობაში უნდა გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

1) თვითეული სპორტსმენის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ტურნირის ამა თუ იმ ეტაპზე;

2) თვითეული მოთამაშის დამოკიდებულება გუნდის სატურნირო მდგომარეობისადმი: კმაყოფილია თუ არა იგი გუნდის სატურნირო მდგომარეობით; აქვს თუ არა იმედი ამ მდგომარეობის გაუმჯობესების ან შენარჩუნებისა; ვენობა თუ არა სპორტულ პრესას; რომელი გუნდი მიაჩნია მთავარ მეტოქედ; რომელ გუნდთან მოელის თამაშის წაგებას; რომელი ფეხბურთელი მიაჩნია „დამჯაბნ“ მოწინააღმდეგედ; როგორ განიცდის სათადარიგოთა სკამზე ჯდომას; რა დამოკიდებულებაშია მწვრთნელთან, რა მოსწონს ან რა არ მოსწონს მისი; როგორ დამოკიდებულებაშია გუნდის სხვა წევრებთან; გუნდის როგორ შემადგენლობაში ისურვებდა თამაშს; რომელ პარტნიორთან უფრო უკეთ გამოსდის თამაში.

ყოველი მატჩის წინ ექიმმა-ფსიქოლოგმა უნდა გამოირკვიოს:

1) ფეხბურთელის დამოკიდებულება მეტოქე გუნდის სატურნირო მდგომარეობასთან. როგორ მიაჩნია მას — კანონზომიერია თუ შემთხვევითი ეს მდგომარეობა;

2) რას ფიქრობს პირად მოწინააღმდეგეზე, გამოსდიოდა თუ არა წინათ მასთან თამაში;

3) პირადი შეხედულება წინა ტურში ჩატარებულ შეხვედრაზე: საერთოდ, გუნდის თამაშზე, საკუთარ წვლილზე ამ მატჩში;

4) ფეხბურთელის ფსიქო-რეაქცია წინა ტურის მატჩის მიხედვით (მოგების, წაგების, აგრეთვე მაყურებლის შეფასების მიხედვით მის წვლილზე განვლილ შეხვედრაში).

საერთო მზადების პერიოდში შესწავლილი საკითხები ექიმი-ფსიქოლოგის მუშაობის ბაზისი უნდა გახდეს. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია კოლექტიური და ინდივიდუალური საუბრებისა და ფსიქო-სეანსების ჩატარება ამ ნაწილში აღნიშნული „საერთო საკითხებისადმი“ თვითეული ფეხბურთელის დამოკიდებულების შეუსწავლელად.

ტურნირის განმავლობაში და თვითეული მატჩის წინ წამოყენებული საკითხების გადაწყვეტა აზუსტებს ექიმი-ფსიქოლოგის მუშაობის მიმართულებას როგორც კოლექტივის, ისე ცალკეული ფეხბურთელების მიმართ. ექიმმა-ფსიქოლოგმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს წვრთნასა და რეჟიმთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, თანაც ისინი უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, რაც შესაძლებელია მხოლოდ თვითეული ფეხბურთელის ფსიქოტიპის განსაზღვრის საფუძველზე.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, გუნდთან მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა გადაწყდეს ფეხბურთელთა არდადეგების პერიოდში სპორტული ფორმიდან თვითეული მათგანის ამოვარდნის ხარისხი ფეხბურთელის ინდივიდუალური ტექნიკის, ტაქტიკური აზროვნებისა და ფიზიკური მომზადების მიხედვით.

აღნიშნული საკითხების შესწავლა სირთულეს არ წარმოადგენს. პირველი მათგანის გადასაჭრელად საჭიროა ვიცოდეთ თვითეული სპორტსმენის დამახასიათებელი ტექნიკური ილეთის ტესტი, ანუ ამ ილეთის მაჩვენებელი გაწვრთნილობის მაქსიმუმის პერიოდისთვის. მაგალითად, ტექნიკური ილეთის— ბურთის ქუსლით გადაგდება თავზე მიწაზე დაუშვებლად — შესრულება ფეხბურთელს მაქსიმალური გაწვრთნილობის დროს შეეძლო ერთ წუთში ოცჯერ, კვლევის პერიოდში კი შეუძლია, ვთქვათ, ხუთჯერ. ამ ორი მონაცემის საფუძველზე პროცენტული სიზუსტით შეიძლება დადგინდეს „სპორტული ფორმიდან ამოვარდნის“ ხარისხი ტექნიკური მაჩვენებლის მიხედვით. ასევე, თუ წინასწარ გვეცოდინება დროის გარკვეულ მონაკვეთში გადაწყვეტილ ტაქტიკურ ვარიანტთა რაოდენობა მაქსიმალური გაწვრთნილობის დროს (ტაქტიკური აზროვნების ტესტი), იოლი დასადგენია „სპორტული ფორმიდან ამოვარდნის“ ხარისხი ტაქტიკური აზროვნების მიხედვით.

საინტერესოა ისეთი საკითხის შესწავლაც, როგორიცაა საერთო მომზადების ვარჯიშების შესრულებისა და ფეხბურთისაგან ტექნიკურად განსხვავებული თამაშის შემდეგ ფეხბურთელის სპეციალური მონაცემების: ტექნიკისა და ტაქტიკური აზროვნების აღდგენის სისწრაფე, ანუ შესწავლა იმისა, თუ რა დროის განმავლობაში აღწევს ესა თუ ის სპორტსმენი ტექნიკისა და ტაქტიკური აზროვნების ტესტების დონეს, ვთქვათ, კროსის ან კალათბურთის თამაშის შემდეგ. ასეთი შესწავლით შეიძლება განისაზღვროს სხეულში მიმდინარე აღდგენითი პროცესები, რომლებიც ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციას წარმოადგენენ და უშუალო კავშირში არიან ფსიქოლოგიური ტიპის რაობასთან (ჯანმრთელ ორგანიზმში). ასეთი ინდივიდუალიზებული შესწავლა ზუსტად განსაზღვრავს ფეხბურთელის წვრთნის მიმართულებას და გამორიცხავს უსწორო წვრთნით ინდივიდუალური თვისებების წაშლის შესაძლებლობას. ამ მხრივ კი ფეხბურთელთა წვრთნის სისტემაში ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე არაა. მაგალითად, ფეხბურთი თავისი შინაარსით არ მოითხოვს მოთამაშის მუდმივ ფიზიკურ დატვირთვას. თამაშის დროს სხეული ასწრებს დაღლასაც და დასვენებასაც. ფეხბურთელის ორგანიზმი შეჩვეული უნდა იყოს მოკლე დროში დაღლა-დასვენების პროცესებს, ამიტომ საერთო ფიზიკური მომზადების ვარჯიშები ისეთნაირად უნდა შეირჩეს, რომ შეესაბამებოდეს სპორტსმენის ორგანიზმის მუშაობის სპეციფიკას. ამდენად, ფეხბურთელის დატვირთვა სხვადასხვა სტაიერულ მანძილზე რბენითა და ვარჯიშით, რომლებიც მისი ორგანიზმის მუდმივ დატვირთვასა და შემდეგ ხანგრძლივ დასვენებას მოითხოვს, შეიძლება გამართლებული არც იყოს, ვინაიდან ამან შესაძლოა გამოიწვიოს სხეულის გადაჩვევა დაღლა-დასვენების პროცესების სწრაფი მონაცვლეობისგან.

ცნობილია, რომ ფეხბურთელის სწორი ტაქტიკური აზროვნება გაცილებით უფრო სრულფასოვანია, ვიდრე ვირტუოზულად შესრულებული ფინტი სწორი გაგრძელების გარეშე. როცა ფეხბურთელი თამაშის დროს ფინტის შესრულებაზე ფიქრობს, იგი ვერ ასწრებს ფიქრს სწორი ტაქტიკური ვარიანტის ამორჩევისთვის. ამიტომ ფინტი შეიძლება ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევდეს, მაგრამ ფეხბურთის იდეა განუხორციელებელი რჩება. ამიტომ საჭიროა ფინტისთვის აუცილებელი მოქმედება დაყვანილ იქნას რეფლექსურ მოძრაობამდე. ამის მისაღწევად გარდა ბურთზე უშუალო მუშაობისა, როცა რეფლექსური რკალის განმტკიცება ხდება პირველადი სასიგნალო სისტემის გზით, საჭიროა უბურთოდ, უმოძრაოდ ვარჯიშიც, ე. ი. ვარჯიში ფიქრით. ამ დროს სხეულისთვის მოსვენებულ მდგომარეობაში იგი იმეორებს ფინტის მოძრაობებს გონებაში. ასეთი ფსიქოვარჯიშები ამტკიცებენ რეფლექსურ რკალს მეორადი სასიგნალო სისტემის გზითაც. ფსიქიკურად ცენტრალურ ნერვულ სისტემას ეს უფრო ღლის, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელს უწყობს რეფლექსური რკალის განმტკიცებას.

ამ ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო თვითეული ფეხბურთელის დასვენების რეჟიმის განსაზღვრის დროსაც. აქვე უნდა დაისვას ერთი საკითხიც: იწვევს თუ არა ცალკეული მატჩი და შემდეგ ტურნირი ფეხბურთელის ფიზიკურ დაღლას და ე. წ. გადაღლას? ცნობილია ბევრი პროფესია (მეშახტე, მჭედელი და სხვ.), სადაც შრომა ფიზიკური თვალსაზრისით გაცილებით დამჭანცველია, ვიდრე ფეხბურთელის თამაში. ბოლოს და ბოლოს, რაც უნდა აქტიურად მოქმედებდეს ფეხბურთელი, ფიზიკური დაღლის ფაქტორები მეშახტის შრომის პირობებს ვერ შეედრება (მით უმეტეს, რომ მეშახტე ყოველ ღღე მუშაობს 4-5 საათს). ამდენად, ძნელი წარმოსადგენია, რომ ფიზიკურ დაღლას ერთი მატჩის განმავლობაში მნიშვნელობა ჰქონდეს შემდეგი მატჩის და, საერთოდ, მთელი ტურნირისთვის. სულ სხვა საქმეა ფსიქიკური დაღლა. მუშა ამ ფაქტორის მოქმედებისგან თითქმის თავისუფალია, ფეხბურთელი კი ფსიქიკურად მუდმივად დაძაბულია და ასე გრძელდება არა ერთი მატჩის, არამედ მთელი ტურნირის განმავლობაში. სწორედ უმთავრესად ფსიქიკური ფაქტორის მოქმედება იწვევს ფეხბურთელის დაღლას მატჩის ბოლოს და მის გადაღლას ტურნირის დასასრულისთვის.

ამიტომ ექიმი-ფსიქოლოგის ერთ-ერთი უმირველესი მოვალეობაა ფსიქიკური დაღლის ფაქტორების შესუსტება და ფსიქიკური დასვენების მეთოდების შემუშავება. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, არასწორია, როცა მატჩის წინ ყველა ფეხბურთელი ერთადაა თავშეყრილი. ამ დროს ისინი ძალაუნებურად განიცდიან მომავალ მატჩს. თუ ეს გაცდები ზოგისთვის სასიამოვნო და სასარგებლოცაა, სხვებისთვის უსიამოვნო შეჯრნიბათა გამომწვევია და უარყოფითად მოქმედებს მათი თამაშის ხარისხზე. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მატჩის წინა ღღის გატარება უმჯობესია იქ, სადაც ფეხბურთელს ამის სურვილი აქვს: ნათესავთა თუ მეგობართა წრეში, ბუნების წიაღში, კინოსა თუ თეატრში. როცა ფეხბურთელი ფსიქოლოგიურად და მორალურად სათანადოდაა მომზადებული, მაშინ უსაფუძვლოა შიში თავისუფლების დროს „რეჟიმის“ დარღვევის შესაძლებლობისა. რეჟიმის დამრღვევი ფეხბურთელი, რაც უნდა დიდი ნიჭით იყოს დაჯილდოებული, გუნდში არ უნდა ირიცხებოდეს. ესეც ექიმი-ფსიქოლოგის უფლება-მოვალეობას უნდა შეადგენდეს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საკითხის ადმინისტრაციული მოგვარება ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ წყვეტს წამოჭრილ წინააღმდეგობას. ამის მაგალითია გუნდის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების ადმინისტრაციული რეგულირება ერთ-ერთი („დამნაშავე“) მხარის დასჯით. თუნდაც ორივე მხარე დასაჯოს, ურთიერთობის სულიერი (მორალური) საფუძველი მუდამ ზარალდება. ამგვარ შემთხვევებში ექიმ-ფსიქოლოგის როლი ფასდაუდებელია.

ექიმი-ფსიქოლოგის წინაშე ხშირად დაისმება მთელი რიგი ინტიმური საკითხებიც, რომელთა საერთო სამჯავროზე გამოტანა, ცხადია, მიზანშეუწონელია. ასეთ დროს ექიმი-ფსიქოლოგი „საიდუმლო“ მრჩეველი იქნება, რასაც შესაძლოა ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს.

ექიმმა-ფსიქოლოგმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ფეხბურთელების პოპულარიზაციის საკითხს ბალში. პოპულარობა ახალგაზრდებსა და მოზრდილებს კი არა, ზოგჯერ ხანდაზმულ ადამიანებსაც ახვევს თავბრუს. ექიმმა-ფსიქოლოგმა უნდა აუხსნას ახალგაზრდა და მოზარდ ფეხბურთელებს, რომ მათი პოპულარობა საზოგადოების წინაშე პირადი დამსახურებით კი არ არის გამოწვეული, არამედ ფეხბურთისადმი ხალხის უდიდესი სიყვარულით.

მრავალი საკითხი შეიძლება გახდეს ამხანაგური საუბრისა თუ კოლექტიური მსჯელობის საგანი. მაგალითად: „ფეხბურთი და პატრიოტიზმი“, „ფეხბურთი და გულშემატკივარი“, „ფეხბურთი და ესთეტიკა“ და ა. შ. ასეთი დისკუსიებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ მგზავრობის პერიოდებიც.

დასასრულ, კიდევ ერთი საკითხი. როცა ფეხბურთელთა გუნდში ექიმი-ფსიქოლოგის საჭიროებაზე ვლაპარაკობთ, სულაც არ ვგულისხმობთ ასეთი საშტატო ერთეულის აუცილებელ დაშვებას ექიმი, რომელიც ჰყავს ფეხბურთელთა გუნდს. სათანადო ცოდნისა და სურვილის შემთხვევაში შეიძლება გახდეს ასეთად, ხოლო რაც შეეხება გუნდის საექიმო სომატიკურ მომსახურებას, ეს სულაც არ არის ძნელი და ექიმი-ფსიქოლოგი ამას მუდამ შესძლებს.

ვ. გოგუაძე,
ექიმი-ნევროპათოლოგი.

ზოთა რუსთაველის
დაბადების 800 წლისთავისათვის

ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის
თამბირი და გამორჩევა

მსოფლიოს შ.წინაშე საზოგადოებრიობა წელს აღნიშნავს გენიალური ქართველი პოეტის, უჭკნობი „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს უძღვნის თავის ახალ ამოცანას თბილისელი პრობლემისტი რ ე ვ ა ზ თ ა ვ ა რ ი ა ნ ი, რომელიც მან შეადგინა დიდი მგზნსის ერთ-ერთი სტროფის შინაარსის მიხედვით.

„მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოვლისა სიძე-სძლოგასა“ (537).

იწყებენ შავები. შამათი 6 ხვლაში.

ამოხსნა:

„ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,
მიპარვითა მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,
მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ზრუხთა, ვითა ვირთაო, —
ხასხლი კაცისა უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო?“ (543)

1. ... მფf3—e2
2. მფa2—b1 მფe2—d1!
3. მფd1—a2 მფd1—d2
4. მფa2—b1 მc2—a3+
5. მფb1—a2 მფd2—c3
6. მფa2—a1 მფc3:b3×.



მასალები შეკრიბა და ბოგვაყოდა ლია გოგელიამ

„ერთს ფრიად საყურადღებო ამბავსაც გვატყობინებს იგივე მოსკოვის სტუდენტი: წელს აქაურ უმაღლეს სიუსტრი სასწავლებელში გაათავა სწავლა 8 ქართველმა. ყველაზე უკეთესს შეგირდად გაათავა ისევ ქართველმა ბ-მა კოტლაძეშო და მისი სახელი და გვარი ოქროს ასოებით იქნა სასწავლებლის დაფაზე დაწერილიო. ხმლის კარგად ხმარებისთვის სამმა ქართველმა მიიღო ჯილდოვო. ორმა მათგანმა, სახელდობრ გ. თელაშვილმა და ალ. მიქელაძემ იმიტომ, რომ ხმალს კარგად ხმარობდნენ ფარიკაობის დროს, ხოლო მესამემ კ. მიქელაძემ იმიტომ, რომ დაშნასა ხმარობდა თურმე მარჯვედ ფარიკაობისავე დროსაო. სულ მოფარიკავენი ყოფილან 100 რუსი იუნკერი და ასში ძალიან ცოტას მიუღია ჯილდო და ამ ცოტაში ის სამი ქართველიც მოპყოლია“.

(„ივერია“, № 210. 1886 წ.).

„ამ დღეებში ბათუმში გაუმართავთ ჭიდაობა ბათუმის სკოლის სასარგებლოდ. ჭიდაობიდამ შემოსულა სულ 63 მანეთი, რომელიც გაეგზავნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, რომელიც განაგებს ბათუმის სკოლასო“.

(„ივერია“, № 218. 1886 წ.).

„წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო

წასულ კვირას, 9 ნოემბერს დ. ყვირილაში იყო ჩვენგან გამართული ჭიდაობა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის ბ-ნ ჯინორიძის სასარგებლოდ. ამ ჭიდაობადამ სრული შემოსავალი იყო 45 მანეთი და 46 კ. აქედგან დაიხარჯა ფიცრის ქირა და გადატან-გადმოტანა —2 მან. 50 კაპ. არგანე — 2 მან. თოკების ქირა — 1 მან. ლურსმანი და სხვა წვრილმანი ხარჯი 95, პოლიციის მოხელეებს მიეცა 3 მანეთი, —სრულიად დაიხარჯა 9 მანეთი და 45 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 36 მანეთი. რომლითაც პირობის დაგვარად 18 მ დამცემს გადავეცით და დანარჩენი 18 მანეთი გავგზავნა ბ-ნ ჯინორიძეს ქ. ხარკოვში. ამისათვის გთხოვთ, დაბეჭდოთ საყოველთაოდ გაზეთ „ივერიაში“ ეს ანგარიში.

ჭიდაობის მოთავენი:
თეოფ. ხუსაინაძე,
კალენიკე მესხი,
ქრისტ. დარახველიძე.

(„ივერია“, № 248. 1886 წ.).

როგორ დამარცხდა მ. ეივე

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი თ. კაკაბაძე გვთხოვს გამოვაქვეყნოთ შარშან მოსკოვში ნორჩი თბილისელი მოჭადრაკე ე. უბილავას მიერ ერთდროული თამაშის სეანსში მ. ეივესთან მოგებული პარტია და მოკლედ მოვუთხროთ ნიჭიერ ჭაბუაზე.

15 წლის ილიზბარ უბილავა თბილისის 87-ე საშუალო სკოლის ხუთოსანი მოსწავლეა. ჭადრაკში მეცადინეობს 1960 წლიდან, თბილისის ბავშვთა საჭადრაკო სპორტულ სკოლაში. მისი მწვრთნელები არიან პ. ხიზანიშვილი და ა. ბუსლაევი. მზარდი მოჭადრაკე პირველთანრიგოსანია. 1965 წელს ე. უბილავას დიდი წარმატება ხვდა წილად მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში. აქ მან II ადგილი დაიკავა, რისთვისაც შეყვანილ იქნა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში. მოსწავლეთა საკავშირო გუნდურ პირველობაზე, რომელიც ხარკოვში გაიმართა, ნორჩმა მოჭადრაკემ 9 შეხვედრაში 5 ქულა დააგროვა.

თბილისელი მოსწავლე გამოჩენილი მოჭადრაკეების ერთდროული თამაშის სეანსებში მონაწილეობითაც დაოსტატდა. მას მოუგია მ. ბოტვინიკისთვის, ყაიმით დაუმთავრებია შეხვედრები ა. სუეტინთან, ე. ვასიუკოვთან, რ. ფლორესთან. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს — დოქტორ მ. ეივეს იგი შეხვდა მოსკოვში, სადაც ე. უბილავა იმკოფებოდა 15-წლიანი ნიჭიერი მოჭადრაკეების საკავშირო შეკრებაზე. მ. ეივე თამაშობდა 9 დაფაზე (დიდოსტატმა მოიგო 2 პარტია, წააგო 3 და 4 ყაიმით დაამთავრა).

აი, პარტიაც:

მ. ეივე — ე. უბილავა

ლაზიერის გამბიტი

1. d4 d5 2. c4 e6 3. ∂c3 ∂f6 4. ∂g5 ∂e7 5. e3 0—0 6. ∂c1 ∂bd7 7. cd ed 8. ∂d3 c6 9. ∂ge2 ∂e8 10. 0—0.

ჯერ კიდევ კაპაბლანკა — ალიოხინის მატჩში (1927 წ.) თამაშობდნენ ასე. ახლა ჯობდა 10. ∂g3, რომ შავებს პოზიციის განტვირთვის შესაძლებლობა არ ჰქონოდათ.

10 ... ∂e4 11. ∂:e7 ლ:e7 12. ∂:e4 (ახლაც უკეთესი იყო 12. ∂g3) 12. ... de 13. ∂g3 ∂f6 14. ლc2 h5.

ნორჩი მოჭადრაკე თამაშის სწორ გეგმას ავნებს. მან ინიციატივისთვის უნდა იბრძოლოს. დაყოვნების შემთხვევაში ეივე შეძლებდა შავების ლაზიერის ფრთის დალაშქვრას.

15. h3 h4 16. ∂ge2 g5 (შესანიშნავია. თეთრ მხედარს წაერთვა f4 უჯრა და თან მომზადდა საიერიშო პოზიცია) 17. ∂d1.

ეივეს სურს f2—f4-ის გახორციელება. მისი მდგომარეობა უკვე ძლიერია. თბილისელი კიდევ უფრო აძლიერებს თავის პოზიციას მეტოქის განლაგებაში მხედრის შეჭრით.

17. ... ∂d5 18. ლc5 ∂b4 19. f4 ∂d3 20. ლ:e7 ე:e7 21. ეc2 g4 (შეცდომა. აუცილებელი იყო 21. ... f6. ახლა ეივე ახერხებს პოზიციის გათანაბრებას) 22. f5 hg 23. gh f6 24. ∂f4 ეg7+ 25. ეg2 ∂:f4 (არ შეიძლება f5 პაიკის აყვანა. აი, სად გამოჩნდა 21-ე სვლის მცდარობა) 26. ე:f4 ∂d7 27. ე:e4 (სტრატეგიული შეცდომა, რასაც შავი ფიგურების დიდი აქტივობა მოჰყვება და ისინი კვლავ ეუფლებიან უპირატესობას) 27. ... ∂:f5 28. ე:g7+ მფ:g7 29. ეe7+ მფh6 30. ე:b7 ეg8+ 31. მფf2 ∂:h3 32. ე:a7 ∂e6 (ნორჩ მოჭადრაკეს მოსაგები პოზიცია აქვს) 33. მფe1 h3 34. ∂f2 h2 35. e4 ეg1+ 36. მფe2 ეg2 37. ეa8 მფg7 38. ეa7+ მფg6. ეივე დანებდა.

თ. გიორგაძე.

„ჭკვიანი ბავშვისთვის“ ჯასუხი...

ნორვეგია მოლოდინია

სურათზე: ჰოლმენკოლენის ტრამპლინი.



სათხილამურო სპორტში 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება ნორვეგიაში, ამ ქვეყნის დედაქალაქიდან 10 კილომეტრზე ძდებარე სახელგათქმულ ჰოლმენკოლენში. თავიანი გაქანებით ეს გრანდიოზული სპორტული მოვლენა დაემთხვეკა ოსლოში მოწყობილი პირველი სათხილამურო შეჯიბრების 100 წლისთავს. მართალია, იგი მაშინ ჩატარდა ქალაქთან უფრო ახლოს, მაგრამ 1892 წლიდან სათხილამურო ბილიკებსა და ტრამპლინზე ცხარე ბრძოლების მუდმივი ადგილი ჰოლმენკოლენი გახდა.

ნორვეგია თხილამურებისა და ციგურების ქვეყანაა. ამბობენ, ნორვეგიელები ფეხებზე მორგებული თხილამურებით იბადებიანო. რასაკვირველია, ეს სუფრობაა, მაგრამ ჭეიმარიტებასთან ახლოს დგას. კვირაობით 2-3 მილის (ნორვეგიული მილი 10 კილომეტრია) გარბენა ძოხუციანა თუ ჯანუკია ჩვეულებრივი ნორმაა.

ნორვეგიელებს უყვართ თხილამურები. არქეოლოგები აღტკიცებენ, რომ თხილამურობა ნორვეგიის ტერიტორიაზე ცნობილი იყო 4 ათასი წლის წინათაც. ისტორიკოსები თვლიან, რომ პირველი ოფიციალური შეჯიბრება თხილამურებში მიეკუთვნება 1765 წელს, ხოლო 2 წლის შემდეგ გაიმართა ასპარეზობა ბრიზეია ძოსა-ოვებლად.

ნორვეგიამ ბევრი სახელგათქმული სპორტსმენი მისცა მსოფლიოს. მათ შორისაა მფრინავ მოთხილამურეთა ოჯახი ძმები რუტების სახით. სამივე ძმა მსოფლიოს ჩემპიონი იყო: ზიგმუნდი 1929 წელს, ბირგერი — 1931, 1935, 1937 წლებში, ხოლო ასბერგი — 1938 წელს, როცა 18 წლისა იყო.

საჭირო არ არის აღვწეროთ ნორვეგიელთა სიხარული, როცა მათ პატივი დასდეს მასპინძლობა გაეწიათ მსოფლიოს საუკეთესო მოთხილამურეებისათვის. მით უმეტეს, რომ ოციგურე ქალთა მსოფლიო პირველობის გარდა ნორვეგიას ამ ზამთარს „გვერდი აუარეს“ ყინულის ბილიკების დიდძა სპორტულმა მოვლენებმა. ასე რომ, ნორვეგია მოლოდინშია...

მსოფლიოს ჩემპიონატის მომზადებისთვის შექმნილია სპეციალური კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს კრონ-პრინცი ჰარალდი. პრანცი კარგი სპორტსმენია, მონაწილეობდა ტოკიოს ოლიმპიადაში. მართალია, მისი სტიქია ზღვა და იალქანია, მაგრამ, როგორც ნამდვილ ნორვეგიელს შეშვენის, იგი კარგად ერკვევა სპორტის ზამთრის სახეობებში. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ სპორტულ საზოგადოებათა გამოჩენილი ხელმძღვანელები. კომიტეტის აქტივს წარმოადგენს ათასი მოხალისე ეთოუზიასტი — წარსულში ამ ქვეყნის ცნობილი მოთხილამურეები. ყოველ მათგანს ჩაბარებული აქვს საკუთარი უბანი და ჩინებულადაც მიჰყავს თავისი საქმე. ასა-ის კორესპონდენტმა ერთერთ მათგანს — პრესის განყოფილების უფროსს პერ ჰაუგ-მუს ჰკითხა, თუ როგორ მიდის ჩემპიონატისთვის მზადება.

— პრაქტიკულად ყველაფერი მზადაა ამჟამად მიმდინარეობს ყველა რგოლის საბოლოო დახვეწა, — უპასუხა პერმა, — ბევრი საქმე აქვს ჩვენს განყოფილებას. 27 ქვეყნის 500-ზე მეტი ჟურნალისტი 17-27 თებერვალს გადასცემს სპორტულ ამბებს ჰოლმენკოლენიდან. მსხვილი „სათხილამურო“ ერები ნორვეგიაში ყველაზე დიდ დელეგაციებს გამოგზავნიან: ფინეთი — 53 კაცს, შვეიცია — 50-ს, სსრ კავშირი — 34-ს. უცხოელი ფოტო, კინო და ტელერეპორტიორები იცხოვრებენ ოსლოს სასტუმრო „ვიკინგში“. აქ იქნება პრეს-ცენტრიც. კიდევ ერთი პრეს-ცენტრი მოეწყობა ჰოლმენკოლენის დიდი ტრამპლინის ახლოს. და თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ სტარტები და ფინიშები მოეწყობა ტრამპლინის ძირში, შეიძლება ითქვას, რომ ეს პრეს-ცენტრი ძირითადი იქნება. ინფორმაციის ორივე ცენტრი აღიჭურვება კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებით. ამ დარგში ნორვეგიელებს საკმაო გამოცდილება აქვთ. მათ მოამზადეს 1952 წლის ზამთრის ოლიმპიადა და ბევრჯერ ჩაუტარებიათ საერთაშორისო შეჯიბრებები.

22 ქვეყნის 450 მონაწილე ტრამპლინიდან 2-2,5 კილომეტრის დაშორებით მდებარე ოთხ სასტუმროში დაბინავდება.

—ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შეჯიბრებათა მონაწილეებმა რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღონ, — განაგრძობს ჰაუგ-მუ. — დღეისთვის ორგანიზატორებმა კარგად გაართვეს თავი თავიანთ ამოცანებს. ჩემპიონატის მომზადება ძალიან რთული, მაგრამ საინტერესო სამუშაოა. მით უმეტეს, რომ ჩვენ გვეხმარებიან ის ორგანიზაციები, რომლებსაც საამისოდ მივმართავთ. ეს გასაგებიცაა—თხილამურების ქვეყანა თავს არ შეირცხვენს, როცა საქმე ნორვეგიის პრესტიჟს ეხება.

ყველა სათხილამურო ტრასა უკვე მზადაა და დააკმაყოფილებს ყველაზე მაღალ მოთხოვნებს.

შარშან ყველა ტრასის გამაგრებისა და გაფართოებისთვის დამატებითი სამუშაოები ჩატარდა, რათა თუ თებერვალი უთოვლო თვე იქნება, მაინც კარგი სათხილამურო ბილიკი იქნას უზრუნველყოფილი. მთელი ზაფხულის განმავლობაში ეწყობოდა ტრამპლინები. ორივე ტრამპლინი — ჰოლმენკოლენი (სპეციალური ხტომები) და მიდსტუენი (მრავალჯიდი) აღიჭურვა დამატებითი ტრიბუნებით პრესის მუშაკებისთვის და სხვა სათავსოებით. საინტერესოა, რომ სახელგათქმული ჰოლმენკოლენი თავისი არსებობის 73 წლის მანძილზე 18-ჯერ იქნა მოდერნიზირებული. ამჟამად მისი კრიტიკული პუნქტი უდრის 80 მეტრს, ხოლო ნორვეგიელი ლარც გრინის მიერ დამყარებული რეკორდი — 89 მეტრს. ტრამპლინის ქვაბულის გარშემო, სადაც დაეშვებიან მოთხილამურეები, შეიძლება განლაგდეს 130 ათასი მაყურებელი. მიდსტუენის ტრამპლინი 2 წლით უფროსია თავის სახელგათქმულ ძმაზე, მაგრამ მას სიმძლავრეში ჩამორჩება. მისი კრიტიკული პუნქტი 68,5 მეტრია, ხოლო რეკორდი (იგი დაამყარა იგივე ლარც გრინმა) — 78 მეტრი. აქ თხილამურებით ხტომას შეეძლია უყუროს 40 ათასმა კაცმა. მომავალ ჩემპიონატზე მხტომელები შეასრულებენ მხოლოდ ორ ნახტომს. ორივე ნახტომი ჩაითვლება. პირველი საშვრთნელი ნახტომი მათ მიეცემათ შეჯიბრების დაწყებამდე. ეს წესი ვრცელდება მხოლოდ „წმინდა“ მხტომელებზე. მრავალჯიდელები შეასრულებენ სამ ნახტომს, რომელთაგან 2 საუკეთესო შეჯამდება. ჩემპიონატის ყველა ჯიშში 3 უძლიერესი დაჯილდოვდება მედლებით. ამას გარდა, მონაწილენი, რომლებიც შევლენენ პირველ ათეულში, მიიღებენ სპეციალურ პრიზებს.

ჯ. ზეიცოვი.

ოსლო.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

როგორც მძლეოსან ქალთა შესახებ ამას წინათ გამოსული წიგნის ავტორი ჯ. მოცოლა იტყობინება, ინგლისელი სიმაღლეზე მხტომელი სოფიო პირს-ივენსი, რომელიც 1928 წელს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად იყო აღიარებული, დაეუფლა ყველაზე გრძელი... გვარის რეკორდს. საქმე ის არის, რომ პირს-ივენსმა ქალიშვილობის გვარს მიუმატა ქმრის ორმაგი გვარი და სამემკვიდრო წოდება. ამჟამად იგი იწოდება სოფიო პირს-ივენს-ელიოტ-ლინ-ჰიტად.

ᲘᲦᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲪᲓᲐ

ევროპაში ბადროს ერთ-ერთი საუკეთესო მტყორცნელი ქალი, უნგრელი ი. შტუბნერი (შარშან მან ბადრო 56,98 მეტრზე ტყორცნა) 6 წლის ასაკამდე მთლიანად დამბლადაცემული იყო და მხოლოდ 10 წლისამ აიდგა ფეხი. როცა მას 12 წელი შეუსრულდა, ექიმებმა ურჩიეს გაკაუებისთვის ფიზკულტურაში ვარჯიში დაეწყო. და აი, გოგონა სპორტს დაუმეგობრდა. როგორც ვხედავთ, ეს მეგობრობა მეტად იღბლიანი გამოდგა.

ᲘᲣᲕᲘᲐᲗᲘ ᲜᲘᲭᲘ

იუვიათი სპორტული ნიჭის პატრონი აღმოჩნდა ავსტრალიელი ჯ. კელი. რამდენიმე წელს იგი უროს საუკეთესო მტყორცნელად ითვლებოდა თავის ქვეყანაში. ამავე დროს კელი კრივშიც ვარჯიშობდა და ვიქტორიის შტატის ჩემპიონიც გახდა ქვემძიმე წონაში. შემდეგ ავსტრალიელს გატაცება შეეცვალა — იგი დაეწაფა ზეგრძელ დისტანციებზე სირბილს, სადაც ყველაზე დიდ წარმატებას შარშან მიაღწია: 33 წლის ათლეტმა მოიგო ფილადელფიაში გამართული მარათონული რბენა — 2:37 23,0.

რა აქვთ საერთო?

მეძლეოსნობის ბევრმა მოყვარულმა ალბათ კარგად იცის, რომ საბჭოთა სპორტსმენს რ. კლიმს, ამერიკელ ჰ. კონოლის, ინგლისელებს ჯ. ოლდეის და ჰ. პეინს საერთო აქვთ მხოლოდ ის, რომ ოთხივენი უროს საკმაოდ ცნობილი მტყორცნელები არიან. მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის მათი მეორე საერთო ნიშანი — კერძოდ ის, რომ ოთხივეს თითქმის ერთდროულად შეეძინა ტყუპები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

- **ᲒᲚᲐᲖᲒᲝ.** შოტლანდიის ფეხბურთელთა კავშირმა გაათავისუფლა ჯ. სტაინ-ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან. ახლა იგი მხოლოდ „სელტიკის“ მენაჯერად რჩება. გამოცხადებულია კონკურსი ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.
- **ᲞᲠᲐᲰᲐ.** ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ხელმძღვანელობამ მიიღო ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის წინადადება ივნისში ეწვიოს რიო-დეჟანეიროს 2 ამხანაგური შეხვედრის გასამართავად.
- **ᲑᲝᲒᲝᲢᲐ.** კოლუმბიის 1965 წლის ჩემპიონობა მოიპოვა „კალი-სპორტინგ კლუბმა“, რომლის შემადგენლობა ასეთია: 4 არგენტინელი, 4 ბრაზილიელი, 1 ურუგვაელი და... 2 კოლუმბიელი.
- **ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ.** ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა შემდეგი საინტერესო ცნობა: სსრ კავშირისა და არგენტინის ნაკრები გუნდების ამასწინანდელი შეხვედრის დროს არგენტინელთა თავდამსხმელმა ონეგამ (გოლის აეტორმა) დაიკლო 3,5 კგ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲘᲡᲖᲔ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. „დინამოს“ სტადიონი. **6 იანვარი.** ამხანაგური შეხვედრა. **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲙᲘᲔᲕᲘ).** თბილისის ნაკრებში ითამაშებენ: **კოტრიკაძე, იამანიძე, გ. სიჭინავა, ჭელიძე, კუტუვაძე, პეტრიაშვილი, ვეკუა, შერგელაშვილი, მუმლაძე, კოშკელოვი, იაშვილი** და სხვ. ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 12 საათიდან. დასაწყისი 18 ს.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ. ტანვარჯიშული დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). **6-9 იანვარი.** „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა მოკავშირე რესპუბლიკათა და ქალაქების იუნიორთა ნაკრებ გუნდებს შორის. დასაწყისი 14 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:** **რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო—8-95-30, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.**

ИНДЕКС 66118 საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05803